მნიშვნელოვანი მოვლენები/სიახლეები

2022

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“

ძირითადი დონორები 2022

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“
2022

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“ ქართული არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც 1994 წლის ოქტომბერში დაარსდა. „ელკანას“ მიზანია საქართველოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და გარემოს დაცვა მდგრადი ბიომეურნეობის განვითარებისა და სოფლად მოსახლეობის თვით-აქტივობის გაზრდის გზით.

„ელკანა“საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში საქმიანობს. დაარსების დღიდან ისეთი საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით, როგორებიცა არიან EU, Brot für die Welt, HEKS, DANIDA, ევროპის ფონდი, BP, WB, UNDP, GEF, SDC, FAO, KfW, WWF და სხვ., ორგანიზაციამ მრავალი პროექტი განახორციელა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების, სოფლის ტურიზმისა და აგრარული ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის მიმართულებით.

„ელკანას“ საქმიანობის სფეროებია:

- კონსულტაციები და ტრენინგები ბიოწარმოების დარგში;
- აგრარული ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და მდგრადი გამოყენება;
- ბიოფერმერების, ფერმერთა ჯგუფების ბიზნესსაქმიანობის ხელშეწყობა;
- პროდუქტის განვითარება და პოპულარიზაცია ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე;
- თემის მობილიზება და სოფლის განვითარება;
- სოფლად ტურიზმის განვითარება, ტრადიციული სურსათის, ღვინის წარმოებისა და გადამუშავების ხელშეწყობა;
- საზოგადოების ცოდნის ამაღლება ბიოწარმოებისა და ადგილობრივი ჯიშების მნიშვნელობის შესახებ;
- ფერმერთა უფლებების დაცვა.

ასოციაცია მთელ საქართველოშ მუშაობს 2500-ზე მეტ ფერმერთან მუშაობს, მათ შორის ფერმერთა ჯგუფებთან, ასოციაციებთან, კოოპერატივებთან, საწარმოებთან და სხვ. „ელკანა“ თანაბრად თანამშრომლობს როგორც მამაკაცებთან, ისე ქალებთან. ქალებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს არა მხოლოდ ორგანიზაციის დაფუძნებაში, არამედ მის შემდგომ განვითარებასა და მიმდინარე საქმიანობაშიც.

ორგანიზაციის სათავო ოფისი თბილისში მდებარეობს. მას აგრეთვე აქვს ოფისი ახალციხეში (სამცხე-ჯავახეთი) და წარმომადგენლობები სამეგრელოში (ზუგდიდი) და მცხეთა-მთიანეთში (თიანეთი). გარდა ამისა, „ელკანა“ ორ საცდელ-სადემონსტრაციო მეურნეობას ამუშავებს: ხეხილის, კენკროვანებისა და მარცვლეული კულტურების საცდელ-სადემონსტრაციო მეურნეობა „მარცვლეულის კიდობანს“ სოფელ წნისში (სამცხე-ჯავახეთი) და ადგილობრივი ჯიშების საკონსერვაციო მეცხოველეობის ფერმას სოფელ ზემო ხოდაშენში (კახეთი).

„ელკანა“ ნაციონალური, რეგიონალური და საერთაშორისო ქსელების / მოძრაობების წევრია



„ელკანას“ მიერ 2022 წელს განხორციელებული პროექტები

#	პროექტის სახელწოდება	ხანგრძლივობა	დონორ(ებ)ი
1.	ორგანული სოფლის მეურნეობის, სოფლის განვითარების და აგრარული ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის ხელშეწყობა საქართველოში	იანვარი 2021 - ივნისი 2024	პური მსოფლიოსთვის, გერმანია
2.	ორგანული სოფლის მეურნეობის და სოფლის ტურიზმის განვითარება მცხეთა-მთიანეთის რეგიონში	ოქტომბერი 2019 – სექტემბერი 2023	ავსტრიის განვითარების სააგენტო
3.	ორგანული თხილის წარმოების ჯაჭვის განვითარება დამატებითი შემოსავლებისა და ღირსეული დასაქმებისათვის დასავლეთ საქართველოში	ივლისი 2018 - ივნისი 2023	დანიის განვითარების სააგენტო, ჰექს-ეპერი (შვეიცარია)
4.	თანამშრომლობა აგროსასურსათო ჯაჭვებში (COACH)	დეკემბერი 2020- ოქტომბერი 2023	კოვენტრის უნივესიტეტი
5.	სურსათის მწარმოებლებსა და ტურიზმის სექტორს შორის არსებული კავშირების გაუმჯობესების ხელშეწყობა	ივნისი 2022 ივლისი 2022	გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO)
6.	ტრანს-სასაზღვრო ალიანსი შავი ზღვის აუზის ქვეყნებში კლიმატ-გონივრული და მწვანე სოფლის მეურნეობისთვის (AGREEN)	ნოემბერი 2020- ნოემბერი 2022	ევროკავშირის ერთობლივი პროგრამა შავი ზღვის აუზის ქვეყნებისთვის
7	Leader მიდგომის განხორციელება მესტიის მუნიციპალიტეტში, საქართველოს მაღალმთიანი მოსახლეობის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად	ივნისი 2022 - დეკემბერი 2022	ევროკავშირი ქეა ავსტრია
8.	"მცირე ღონისძიება Naturland-Verband e.V.-ს და საქართველოს ორგანული სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის ორგანიზაციებს შორის"	სექტემბერი 2021 – აპრილი 2022	Naturland, BMZ via sequa
9.	იმერული მუხის საპილოტე აღდგენა აჯამეთის აღკვეთილში	სექტემბერი 2022 – ნოემბერი 2024	bp EXPLORATION

მნიშვნელოვანი მოვლენები/სიახლეები

ჯგუფური სერტიფიცირების სისტემა

➢ „კავკასნათის“ პროდუქციამ ორგანული სტატუსი შეინარჩუნა!

მეთხილე ფერმერთა ასოციაცია „კავკასნათმა“, რომელსაც 2014 წლიდან ჯგუფური ბიოსერტიფიცირების სისტემა აქვს დანერგილი, 2022 წელი მნიშვნელოვანი სიახლით დაასრულა - ასოციაციის 283 წევრმა (52%) ბიოსერტიფიკატი 496.7 ტონა გაუტეხავ თხილზე უკვე მიიღო. 2022 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, სერტიფიცირებული ბიოთხილის 70% „კავკასნათმა“ უკვე გაყიდა..

ასოციაციის კავკასნათის წევრი ფერმერების მიერ მიწოდებული სერტიფიცირებული თხილის რაოდენობა 2020-2022 წწ.



CERTIFICATE

DOCUMENTARY EVIDENCE

The declared operator has submitted his activities under control, and meets the requirements laid down in mentioned standards. This certificate has been issued on the basis of GC "Standard for Production, Processing, Labelling and Marketing of Organically Produced Foods" (GC Standard), which is equivalent to the requirements of Regulations (EC) No 834/2007, No 889/2008, No 1235/2008; and corresponds to the Codex Alimentarius organic norms. CAUCASCERT Ltd is accredited by DAkkS, Germany.

1.Document Number: 2022-86

2.Operator : Association Caucasnut, #158, Rustaveli street, Darcheli, Zugdidi, Georgia

3.Certification Body: CAUCASCERT Ltd, 24, Yuri Gagarin street, 5th floor, room 2, 0160 Tbilisi, Georgia

Registration Code of Operator: CC-AD-206-03

CAUCASCERT Code number: GE - BIO - 117

Scope/s of certification: A Unprocessed plant products

4.Product/s, Product Group/s, Activity/Activities: Group certification of hazelnut producers.
- Major farm locations: Zugdidi, Tsalenjikha, Chkherotsku and Vani areas (West Georgia).
- The number of the certified members: 283.
- The total certified hazelnut area: 415.5 ha.
- The total certified harvest – 496.7 tons.

Production according to the annex.

5.Defined as: Organic

6.Validity period: This document is valid for all herein after named products from 23.05.2022 until 09.09.2023

7.Dates of controls: Inspection of the group including ICS and re-inspection of the group members – 13-20.07.2022; 30.08.2022-09.09.2022

Date of issue: 23.09.2022

CAUCASCERT Ltd
David Bedoshvili, Director

This document is Master Certificate. In case of Exports it is the sole responsibility of Operator to obtain Certificate of Inspection from CAUCASCERT LLC before exporting.

GE – BIO -117

GC/OM/ CER-3.8 Developed NO, 20.04.15 Revised FA , 20.04.15 Approved ZN, 20.04.15

"CAUCASCERT" Ltd 24, Yuri Gagarin str. 5th floor, room 2, 0160 Tbilisi, Georgia

Tel/Fax: +995323380520 Mob: +995599560209

www.caucascert.ge

Number of original certificates: 2

➢ ტრენინგები და კონსულტაციები მეთხილე ფემერებისათვის

რა

ასოციაცია „ელკანამ“, ზუგდიდის შოთა მესხიას სასწავლო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, სამეგრელოს რეგიონში ბიოთხილის მწარმოებელთა ასოციაცია „კავკასნათის“ წევრთა ექსტენციის საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით თხილის ბიომეთოდებით მოვლა-მოყვანის საკითხებში 8 ახალი საველე მრჩეველი გადაამზადა (2021 წელს 12 ბიომრჩეველი გადამზადდა ანუ ორ წელიწადში სულ 20 ახალი სპეციალისტი მომზადდა). გადამზადებული საველე მრჩევლების ნაწილი ასოციაცია „კავკასნათის“ ექსტენციის განყოფილებაში დასაქმდა. ასოციაციის წევრები 25 პირობით ქვეჯგუფად დაიყო, რომლებიც საველე ბიომრჩევლებს „საკურატოროდ“ გაუნაწილდათ. საველე ბიომრჩევლებმა ფერმერთა ასოციაცია „კავკასნათის“ წევრ მეთხილე ფერმერებს 25 ჯგუფური ტრენინგი ჩაუტარეს თხილში მავნებლებ-დაავადებების კონტროლის, ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების, მეურნეობაში ჩანაწერების წარმოებისა და სხვა საკითხებზე. ტრენინგებს 229 ფერმერი დაესწრო. ამასთანავე, წლის განმავლობაში 486 მეთხილე ფერმერს ინდივიდუალური კონსულტაცია გაეწია თხილის მოვლა-მოყვანის

ბიომეთოდების, მოსავლის აღება-დაბინავების, ჩაბარების პირობებისა და მათთვის საინტერესო სხვა საკითხების შესახებ.

სად
სამეგრელო, ზუგდიდის, წალენჯიხის და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტები

როდის
მარტიდან დეკემბრის ბოლომდე

➢ ჯარას მეფუტკრეთა ასოციაციია ორგანული ჯგუფური სერტიფიკატის მფლობელია!

რა

ასოციაცია „ელკანას“ წევრი ჯარას მეფუტკრეთა ასოციაცია 2018 წლის დეკემბერში დაარსდა. იგი მაღალმთიანი აჭარის მეფუტკრეებს აერთიანებს, რომლებიც „ფუტკრის მოშინაურების“ საუკუნოვან ტრადიციას მისდევენ და ამ რთულ საქმეს აგრძელებენ. 2020 წელს ჯარას თაფლის მწარმოებელმა 18-მა მეფუტკრემ ინდივიდუალური ბიოსერტიფიკატი მოიპოვა. 2022 წელს კი „ელკანას“ ხელშეწყობით ჯარას მეფუტკრეთა ასოციაციამ შეიმუშავა და დანერგა შიგა კონტროლის სისტემა - შეიქმნა შიგა კონტროლის დოკუმენტაცია და პროცედურები. „ელკანას“ ექსპერტებმა შიგა ბიოინსპექტორებიც მოამზადეს - თეორიული და პრაქტიკული ტრენინგები ჩაუტარეს. შედეგმა არ დააყოვნა: 2022 წელს ჯარას მეფუტკრეთა ასოციაციის წევრმა მეფუტკრეებმა 3 ტონა ჯარას თაფლზე ჯგუფური ბიოსერტიფიკატი მიიღეს.

სად
ქედა, საქართველო

როდის
მაისი - დეკემბერი

ტრენინგი აგროეკოლოგიისა და ბიომეურნეობის საკითხებზე

➢ დარგობრივი ტრენინგები თიანეთში

რა

„ელკანას“ კონსულტანტებმა თიანეთის მუნიციპალიტეტში 28 თეორიული და პრაქტიკული ტრენინგი ჩაატარეს ორგანული სოფლის მეურნეობის სხვადასხვა საკითხზე: მებოსტნეობა (9), მეხილეობა (10), მეფუტკრეობა (9). ტრენინგებს ერთიანად 272 (მათგან 111 ქალი) პირი დაესწრო, რომლებმაც აღნიშნული საკითხების შესახებ ინფორმაცია და პრაქტიკული რჩევები მიიღეს, ერთმანეთს გამოცდილება გაუზიარეს. ტრენინგკურსის დამთავრების შემდეგ 38 ფერმერი საგრანტო კონკურსში მონაწილეობდა და 27-მა (მათგან 13 ქალი) დაფინანსება მოიპოვა.

სად

დაბა თიანეთი

როდის

გაზაფხულიდან შემოდგომის ბოლომდე

დაფინანსებული პროექტების რაოდენობა



პროექტებისთვის გაცემული თანხა



➢ ტრენინგი - ხორბლის მოყვანა ბიომეთოდებით

რა

„ელკანას“ ოფისში ჩატარდა ერთდღიანი ტრენინგი - „ხორბლის მოყვანა ბიომეთოდებით“. ტრენინგზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: კულტურულ მცენარეთა წარმოშობის ცენტრები, ხორბლის ტაქსონომია; საქართველო როგორც ხორბლის წარმოშობის ერთ-ერთი ცენტრი; ხორბლის ენდემური სახეობებისა და ადგილობრივი ჯიშების მნიშვნელობა საქართველოში აგრარული ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და კლიმატის ცვლილების პირობებში; ხორბლის მოყვანა ბიომეთოდების გამოყენებით. შესვენებაზე ახალციხური წითელი დოლის პურისა და ძველი ქართული კულტურებისგან დამზადებული კერძების დეგუსტაცია მოეწყო. ტრენინგს ესწრებოდნენ ფერმერები, დარგის სპეციალისტები, საზოგადოების დაინტერესებული წევრები - სულ 12 პირი (მათგან 7 ქალი).

სად

თბილისი, „ელკანას“ ოფისი

როდის

29 მარტი

➢ ტრენინგი - კენკროვანი კულტურების მოყვანა ბიომეთოდებით

რა

„ელკანას“ ოფისში ჩატარდა ერთდღიანი ტრენინგი - „კენკროვანი კულტურების მოყვანა ბიომეთოდებით“. ტრენინგს ესწრებოდნენ ფერმერები, დარგის სპეციალისტები, საზოგადოების დაინტერესებული წევრები - სულ 8 პირი. ტრენინგზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: კენკროვანი კულტურების გაშენებისა და მართვის ძირითადი საკითხები, საყრდენი და წვეთოვანი სისტემების მოწყობა, კენკროვანი კულტურების მოვლა ბიომეთოდებით და სხვ.

სად

თბილისი, „ელკანას“ ოფისი

როდის

14 ივნისი

➢ ვერმიკომპოსტის წარმოება და ბიოსასუქის მიწოდების ჯაჭვის განვითარება ბიომეთხილეებისათვის

„ელკანას“ ხელშეწყობით, პროექტის „ორგანული წარმოების ჯაჭვის განვითარება დამატებითი შემოსავლებისა და ღირსეული დასაქმებისათვის დასავლეთ საქართველოში“ ფარგლებში, DANIDA-ს და HEKS-ის მხარდაჭერით, სამეგრელოში მიმდინარეობს ვერმიკომპოსტის მწარმოებელი 6 ფერმის მოწყობა და სრული აღჭურვა.

➢ სადემონსტრაციო მოდელის მოწყობა სამეგრელოში

„ელკანას“ ხელშეწყობით მეთხილეთა ასოციაცია „კავკასნათი“ ბიოპესტიციდებისა და ბიოსასუქების მომწოდებელ კომპანიებთან თანამშრომლობს. თანამშრომლობის მიზანი იყო, პარტნიორი კომპანიების მიერ შემოთავაზებული ბიოსაშუალებების ეფექტიანობის თხილის ბაღში გამოცდა. თანამშრომლობის ფარგლებში შეირჩა ბიოსერტიფიცირებაში ჩართული ერთი ფერმერის თხილის ბაღი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩელში, სადაც ასოციაცია „ელკანას“ კონსულტანტებმა გამოსცადეს ნაცრის, სოკოვანი დაავადებების, მავნებლების, მათ შორის აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო და ნიადაგის ნაყოფიერების ასამაღლებელი ბიოსაშუალებები.

➢ ბიომრჩეველთა და ბიოინსპექტორთა გაცნობითი ვიზიტი აღმოსავლეთ საქართველოში

რა

ასოციაცია „კავკასნათის“ ინიციატივით და „ელკანას“ ხელშეწყობით, საველე ბიომრჩევლების, ბიოინსპექტორებისა და აგროეკოლოგიით დაინტერესებული ფერმერებისთვის აღმოსავლეთ საქართველოში გაცნობითი ტური ჩატარდა. ტურის მონაწილეები ე. წ. „საუბრები ჩაისთან“ ფორმატში შეხვდნენ და აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრებ იმ ფერმერებს ესაუბნენ, რომლებიც მეურნეობას აგროეკოლოგიური პრინციპებით მართავენ. ასევე, გაცნობითი ვიზიტის მონაწილეები კახეთისა და ქვემო ქართლის ბიომეურნეებს ეწვივნენ, მათ მიერ წარმოებული პროდუქტები დააგემოვნეს და მათი წარმატების ისტორიასა და არსებულ პრობლემებს გაეცვნენ.

სად

აღმოსავლეთ საქართველო, კახეთი და შიდა ქართლი

როდის

7-12 დეკემბერი

➢ ფერმერთა შეხვედრა - ფუტკრის სკის დამზადება

რა

„ელკანას“ ოფისში ერთდღიანი შეხვედრა ჩატარდა, რომელიც ფუტკრის სკის დამზადების საკითხებს მიეძღვნა. შეხვედრას ესწრებოდნენ „ელკანას“ წევრი პროფესიონალი მეფუტკრეები (13 პირი), რომლებმაც განიხილეს სკის სახეობები, მათი დამზადების ტექნოლოგიები და სპეციფიკა. მათ ერთმანეთს საკუთარი გამოცდილებაც გაუზიარეს.

სად

თბილისი, „ელკანას“ ოფისი

როდის

6 დეკემბერი

სასოფლო-სამეურნეო მოდელები - თანამედროვე ტექნოლოგიები სოფლის მეურნეობაში

➢ ტრენინგი - ხეხილოვანი კულტურების სხვლა-ფორმირება

რა

„ელკანას“ საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთზე „მარცვლეულის კიდობანი“, ახალციხის პროფესიულ კოლეჯ „ოპიზარის“ სტუდენტების, პედაგოგებისა და „ელკანას“ წევრი ფერმერებისთვის ჩატარდა საველე-პრაქტიკული ტრენინგი - „ხეხილოვანი კულტურების სხვლა-ფორმირება“. მონაწილეები, თეორიულ სწავლებასთან ერთად, სხვლა-ფორმირების პრაქტიკას გაეცნენ და ერთმანეთს საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს. ღონისძიებას 18 პირი (მათგან 6 ქალი) ესწრებოდა.

სად
სამცხე-ჯავახეთი, ახალციხის მუნიციპალიტეტი, სოფ. წნისი

როდის
1 აპრილი

➢ სასწავლო ტური სამეგრელოში

რა
კენკროვანი კულტურების მოყვანით დაინტერესებული ფერმერები სოფელ ცაიში, „ელკანას“ ხელშეწყობით მოწყობილ სადემონსტრაციო ნაკვეთს ეწვივნენ. სტუმრებმა მეურნეობა დაათვალიერეს, სათბურის პირობებში, ბიომეთოდების გამოყენებით კენკრის მოყვანის სპეციფიკას გაეცვნენ, ადგილობრივი ფერმერებისგან და „ელკანას“ ექსპერტებისგან სასარგებლო რჩევები მიიღეს.

სად
სამეგრელო, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. ცაიში

როდის
11 მაისი

➢ ფერმერის დღე - ფუტკრის რძის წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიები

რა

სოფელ ჩალაუბანში, „ელკანას“ წევრ ფერმერ - კახაბერ ზირაქაშვილის მეურნეობაში ჩატარდა ფერმერის დღე, რომელიც მეფუტკრეობის საერთაშორისო დღეს მიეძღვნა. ღონისძიებას ესწრებოდნენ მეფუტკრეები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან - სულ 12 პირი. მონაწილეებმა საფუტკრე დაათვალიერეს, ფუტკრის რძის აღებისა და დამუშავების ტექნოლოგიებს პრაქტიკულად გაეცნენ და ერთმანეთს გამოცდილება გაუზიარეს.

სად

კახეთი, გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჩალაუბანი

როდის

26 მაისი

➢ ფერმერის დღე - მარნის მოწყობა და აღჭურვა

რა

კახეთში, ქალაქ ახმეტაში, ,,ლევანის მარანში" პროექტის - ,,მარნის აღჭურვა და ღვინის ჩამოსხმა ბოთლებში", პრეზენტაცია გაიმართა. პროექტს ახორციელებს ,,ელკანას" საგრანტო კონკურსში გამარჯებული ლევან გოგოლაძე. ღონისძიების მონაწილეებმა (10 პირი, მათგან 3 ქალი) მარანი დაათვალიერეს, ხოლო მეღვინემ სტუმრებს მარნის მოწყობისა და ღვინის დაყენების საკითხებში საკუთარი გამოცდილება გაუზიარა.

სად

კახეთი, ახმეტის მუნიციპალიტეტი, ახმეტა

როდის

16 ივნისი

➢ სინტროპიული მეურნეობისა და ბიოხორბლის მოყვანის მოდელების პრეზენტაცია

რა

„ელკანას“ საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთ „მარცვლეულის კიდობანში“ განხორციელებული სინტროპიული და ბიოხორბლის მოყვანის მოდელების პრეზენტაციის ორი შეხვედრა ჩატარდა. მოდელები ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი AGREEN პროექტის ფარგლებში შემუშავდა და განხორციელდა. შეხვედრებს დაესწრნენ უცხოელი სტუმრები, „ელკანას“ თანამშრომლები და წევრი ფერმერები, სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის, ახალციხის კოლეჯ „ოპიზარისა“ და სოფლის განვითარების სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამსახურის

წარმომადგენლები. გარდა ამისა, განხორციელებული მოდელების შესახებ პრეზენტაციები გაიმართა პროექტის გუნდის საერთაშორისო შეხვედრებზე დობრიჩში, ბულგარეთში და ტეკერდაგში, თურქეთში.

სად

სამცხე-ჯავახეთი, ახალციხის მუნიციპალიტეტი, სოფ. წნისი
დობრიჩი, ბულგარეთი და თეკერდაგი, თურქეთი

როდის

11 ივლისი და 8 აგვისტო
30 მაისი და 12 სექტემბერი / 22 ივნისი და 25 ივლისი).

➢ ტრენინგი ხეხილოვანი კულტურების მყნობა

რა

ტრენინგი „ელკანას“ საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთ „მარცვლეულის კიდობანში“ ჩატარდა. მას ესწრებოდნენ: „ელკანას“ წევრი ფერმერები, ახალციხის კოლეჯ „ოპიზარის“ სტუდენტები და პედაგოგები (17 პირი, მათგან 6 - ქალი). ტრენინგის პროგრამა მოიცავდა როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ სწავლებას. მონაწილეები ხეხილოვანი კულტურების მყნობის ტექნოლოგიებს გაეცნენ, „მარცვლეულის კიდობნის“ სანერგეში ვაშლის საძირეების კვირტით მყნობის პრაქტიკულად განხორციელება ნახეს და მყნობის პროცესში მონაწილეობა მიიღეს, „მარცვლეულის კიდობანში“ გაშენებული ხეხილის ბაღი დაათვალიერეს, ვაშლისა და მსხლის ადგილობრივ ჯიშებს გაეცნენ, მათთვის საინტერესო საკითხების შესახებ რჩევები მიიღეს.

სად

სამცხე-ჯავახეთი, ახალციხის მუნიციპალიტეტი, სოფ. წნისი

როდის

31 აგვისტოს

აგრარული ბიომრავალფეროვნების დაცვა

➢ ონლაინ სემინარი აგრარული ბიომრავალფეროვნების საკითხებზე

რა

აგრარული ბიომრავალფეროვნების საკითხებზე ონლაინსემინარი ასპინძის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ფერმერების მონაწილეობით ჩატარდა. სემინარის მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია აგრარული ბიომრავალფეროვნების და ფერმერულ მეურნეობებში მის შესანარჩუნებლად კულტურული მცენარეების ადგილობრივი სახეობებისა და ჯიშების წარმოების და მათი ბიომეთოდებით მოყვანის მნიშვნელობის შესახებ; ასევე წლების განმავლობაში მივიწყებული და გადაშენების პირას მყოფი ხორბლის ენდემური სახეობებისა და აბორიგენული ჯიშების, პარკოსანი კულტურების, სელისა და ღომის შესახებ რომლებიც ჩვენს წინაპრებს მოჰყავდათ და რომლებიც ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ წნისში მდებარე „ელკანას“ საკონსრვაციო მეურნეობაში „მარცვეულის კიდობანში“ აღადგინეს

და გაამრავლეს. სემინარის მონაწილეებს კონსულტაცია გაეწიათ ამ კულტურათა მოვლა-მოყვანის, მათი უპირატესობებისა და სათესლე მასალის ხელმისაწვდომობის საკითხებში.

სად
სამცხე-ჯავახეთი, ასპინძის მუნიციპალიტეტი

როდის
17 მარტი

➢ სემინარი - მივიწყებული კულტურები

რა
სოფელ წნისში, „ელკანას“ საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთ „მარცვლეულის კიდობანში“ ჩატარდა ტრენინგი „უსამართლოდ მივიწყებული სამარცვლე პარკოსანი და მარცვლოვანი კულტურების აგროტექნოლოგია“. ტრენინგს რეგიონის ფერმერები (15 პირი, მათგან 5 ქალი) ესწრებოდნენ, რომლებმაც „მარცვლეულის კიდობნის“ საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთი დაათვალიერეს, სადაც როგორც სამარცვლე პარკოსანი და მარცვლოვანი კულტურები, ასევე ხეხილის ადგილობრივი ჯიშები ითესება და მრავლდება. მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია ამ კულტურათა წარმომავლობის, ბიოლოგიური თავისებურებების, გამოყენებისა და მოვლა-მოყვანის ბიომეთოდების, სათესლე მასალის ხელმისაწვდომობის, საბაზრო პერსპექტივების შესახებ. ფერმერებმა სადემონსტრაციო ნაკვეთზე მოწეული პარკოსანი კულტურებით - ცულისპირათი და მუხუდოთი - მომზადებული კერძები დააგემოვნეს.

სად
სამცხე-ჯავახეთი, ახალციხის მუნიციპალიტეტი, სოფელი წნისი.

როდის
19 აპრილი

➢ ბიომრავალფეროვნების დღე „ელკანას“ საკონსერვაციო მეურნეობაში

რა

სოფელ ზემო ხოდაშენში, ასოციაცია „ელკანამ“, ახმეტის მუნიციპალიტეტთან ერთად, ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღე აღნიშნა. მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ საქართველოს სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები, სამეცნიერო ინსტიტუტების, საერთაშორისო ორგანიზაციების, ჰორეკას სექტორის, მედიის, ტუროპერატორებისა და ადგილობრივი ტურისტული ორგანიზაციების წარმომადგენლები, პროდუქტის მწარმოებლები, დისტრიბუტორები და სხვ. ღონისძიების მიზანი იყო შინაურ ცხოველთა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების ადგილობრივი ჯიშების პოპულარიზაცია, ახმეტის რეგიონის აგროტურისტული პოტენციალის საზოგადოებისათვის გაცნობა და ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივების წარმოჩენა-წახალისება. სტუმრებმა დაათვალიერეს „ელკანას“ საკონსერვაციო მეურნეობა, შინაურ ცხოველთა პოპულაციები და პერმაკულტურის მოდელი; მეურნეობის ტერიტორიაზე მოწყობილ „ფერმერულ ბაზარზე“ ადგილობრივი პროდუქტი შეიძინეს და შეფმზარეულების მიერ ადგილზე მომზადებული კერძები დააგემოვნეს, მათ შორის კახური ღორის კერძი, რომლის პოპულარიზაცია და რესტორატორებისთვის წარდგენა ღონისძიების ერთ-ერთი აქტივობა იყო.

სტუმრებმა თიხის ნაწარმის დამზადებისა და იოგის მასტერკლასში მიიღეს მონაწილეობა, მოკლემეტრაჟიან თემატურ ფილმებს უყურეს და დრო მხიარულ, სასიამოვნო გარემოში გატარეს.

სად

კახეთი, ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელი ზემო ხოდაშენი

როდის

22 მაისი

➢ ტრენინგების კურსი - ადგილობრივი შესაძლებლობების განვითარება

რა

„ელკანას“ მეურნეობა „მარცვლეულის კიდობანში“ შესაძლებლობების განვითარების სამდღიანი პროგრამა განხორციელდა. პირველი დღე აგროტურისტული დანიშნულების ადგილის განვითარების თემას მიეძღვნა; მეორე დღის ტრენინიგი დაეთმო თემას - წითელი დოლი: წარმოების გაუმჯობესება და დანიშნულების ადგილის პოზიციონირება; მესამე დღის ტრენინგის თემა კი იყო - ტენილი ყველი: წარმოების გაუმჯობესება და აგროტურისტული დანიშნულების ადგილის პოზიციონირება. ტრენინგებს დაესწრნენ ახალციხის (მესხური) წითელი დოლის ხორბლისა და ტენილი ყველის მწარმოებელი ფერმერები, აგროტურისტული მეურნეობების, ჰორეკა სექტორის, სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები. ტრენინგები საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით წარიმართა. შესაძლებლობების განვითარების პროგრამაში სულ 160 ადამიანი მონაწილეობდა, მათგან 101 ქალი.

სად

სამცხე-ჯავახეთი, ახალციხის მუნიციპალიტეტი, სოფელი წნისი

როდის

20-22 ივნისი

➢ პურისა და ყველის დღე

რა

„ელკანას“ საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთ „მარცვლეულის კიდობანში“ „პურისა და ყველის დღე“ გაიმართა. ღონისძიების მიზანი იყო ადგილობრივი პროდუქტების - პურის, ხორბლისა და ყველის პოპულარიზაცია, რეგიონის აგრარული ბიომრავალფეროვნების პოტენციალის საზოგადოებისათვის გაცნობა და ადგილობრივი ფერმერების ინიციატივების წარმოჩენა-წახალისება. ღონისძიების ფარგლებში ადგილობრივმა ფერმერებმა და მცხობელებმა გამართეს პურის ცხობის, ტენილი ყველის და ადგილობრივი მესხური კერძების - აპოხტის ხინკლის, წერო ხინკლის, მაკარლამა ხინკლის, ლუხუმის, მესხური ქადის მომზადების მასტერკლასები, ისეთი ადგილობრივი ნაწარმი წარმოადგინეს, როგორებიცაა მესხური ქადა-ხაჭაპური და ჰალვა. ყველა ამ კერძისა და პროდუქტის დეგუსტაციაც გაიმართა. ღონისძიებას სტუმრობდნენ ფერმერები, აგროტურისტული მეურნეობების, ჰორეკა სექტორის, სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციის, მედიისა და ტუროპერატორების წარმომადგენლები, რომლებმაც „მარცვლეულის კიდობანი“ დიდი ინტერესით დაათვალიერეს, ფერმერების ნაწარმს გაეცნენ და მათი პროდუქტი სიამოვნებით დააგემოვნეს. მსურველებმა მასტერკლასებში მონაწილეობა თავადაც მიიღეს. ღონისძიებას სულ 104 პირი დაესწრო.

სად

სამცხე-ჯავახეთი, ახალციხის მუნიციპალიტეტი, სოფელი წნისი

როდის

23 ივნისი

➢ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების ვიზიტი „ელკანას“ საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთ „მარცვლეულის კიდობანში“

რა

სოფელ წნისში, „ელკანას“ საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთ „მარცვლეულის კიდობანს“ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები და აგრონომიის საბაკალავრო პროგრამის მესამე და მეოთხე კურსის სტუდენტები საველე-პრაქტიკული მიზნით ესტუმრნენ. მათ „ელკანას“ მეხილე-ექსპერტმა მეხილეობისა და მეკენკრეობის საკითხებზე ტრენინგი ჩაუტარა. დამსწრეებმა (13 პირი, მათგან 6 ქალი) „მარცვლეულის კიდობანი“ დაათვალიერეს, სადაც მარცვლოვანი და პარკოსანი კულტურების ენდემური სახეობები და ადგილობრივი ჯიშები, გაშენებულია ვაშლისა და მსხლის ადგილობრივი ჯიშების ბაღი და სანერგე, ასევე ჟოლოს ბაღი, ისინი ვაშლის საძირეების დარგვის პროცესს თავად დაესწრნენ. სტუდენტებმა მათთვის საინტერესო საკითხების შესახებ კომპეტენტური რჩევები მიიღეს.

სად

სამცხე-ჯავახეთი, ახალციხის მუნიციპალიტეტი, სოფელი წნისი.

როდის

22 ნოემბერი

➢ იმერული მუხის აღდგენა აჯამეთის აღკვეთილიში

რა

„ელკანა“ მონაწილეობს იმერული მუხის (Quercus imeretina, Quercus robur subsp. Imeretina) აღდგენის ღონისძიებებში, რომელიც აჯამეთის აღკვეთილის ტერიტორიაზე ტარდება. იმერული მუხა საქართველოს ენდემური სახეობაა, რომელიც საქართველოს „წითელ ნუსხაშია“ შეტანილი. დღეს ანთროპოლოგიური ფაქტორებისა და კლიმატის ცვლილების გამო, ამ სახეობის ტყის თვითგანახლების პროცესი შესუსტდა, რაც საფრთხეს უქმნის მის კონსერვაციას. „ელკანას“ ექსპერტების მონაწილეობით, ტყის განაპირა ზოლში გაიწმინდა და შემოიღობა1.32 ჰა ფართობის ორი ნაკვეთი, სადაც უკვე დაირგო 4,450 ცალი იმერული მუხის ნერგი. მიმდინარეობს ნარგაობის მოვლა და შესატყვისი აგროღონისძიებების ჩატარება.

სად

იმერეთი, აჯამეთის აღკვეთილის ტერიტორია

როდის

შემოდგომა-ზამთარი

ორგანული და აგროეკოლოგიური პროდუქციის და აგრარული ბიომრავალფეროვნების ბაზრის ჩამოყალიბების ხელშეწყობა

➢ „ელკანას“ აგროეკოლოგიური ნიშანი

2019 წელს „ელკანამ“ ასოციაციის წევრი ფერმერებისათვის შეიმუშავა და დანერგა აგროეკოლოგიური ნიშნის მინიჭების სისტემა, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს: „ელკანას“ წევრი ფერმერების პროდუქციის ბაზარზე დამკვიდრებასა და კონკურენტუნარიანობის გაზრდას, საქართველოში ხარისხიანი პროდუქციის წარმოებასა და მომხმარებლის ინფორმირებას კონკრეტული პროდუქციის შესახებ. სისტემა ევროკავშირის მინიმალურ რეგულაციებსა და აგროეკოლოგიურ პრინციპებს ეფუძნება. აგროეკოლოგიური ნიშნის მინიჭება ხდება ორგანიზაციის მიერ შემუშავებული შიგა კონტროლის სისტემის საფუძველზე, რომელიც მეურნეობის ინსპექტირებას და „ელკანას“ შიგა საბჭოს მიერ ინსპექტირების ანგარიშების განხილვას მოიცავს. 2021-22 წლების მონაცემებით, „ელკანას“ 46 წევრთან ჩატარებული ინსპექციის საფუძველზე 32 მწარმოებლის პროდუქტს აგროეკოლოგიური ნიშანი მიენიჭა.

➢ „პურის ფესტივალი 2022“ სამცხე-ჯავახეთში

რა

„პურის ფესტივალი 2022“ ასოციაცია „ელკანამ“ სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციასა (DMO) და ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად ჩაატარა. ღონისძიება მიზნად ისახავდა ხორბლის ადგილობრივი ჯიშების აღდგენა-

პოპულარიზაციის ხელშეწყობას, ამ საქმიანობაში რაც შეიძლება მეტი ფერმერის ჩართვას და ადგილობრივი პროდუქტების გაყიდვა/გასაღების მოკლე, თანამშრომლობითი ჯაჭვების წარმოჩენა-წახალისებას. ფესტივალის სტუმრები გაეცნენ ხორბლის ენდემურ სახეობებსა და ადგილობრივ ჯიშებს, მათ მნიშვნელობასა და მოვლა-მოყვანის წესებს, დააგემოვნეს მათი პური, ადგილობრივი პროდუქტები და სამცხე-ჯავახეთის ტრადიციულ კერძები, მათ შორის ტრადიციულ მესხურ ფურნეში გამომცხვარი მესხური

ქადა, ქადა-ხაჭაპური, შოთი და სომინი, ტენილი ყველი, კამეჩის მაწონი და ყველი, აპოხტი და აპოხტის ხინკალი, თუთის ნაწარმი, თაფლი, ღვინო და სხვ. ფესტივალზე ფერმერების მიერ წარმოებული პროდუქტების და ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა მოეწყო. გაიმართა ადგილობრივი და თბილისიდან მოწვეული ანსამბლების კონცერტი, ახალციხის თოჯინების თეატრის წარმოდგენა. ჩატარდა ვიქტორინა ხორბლის, პურისა და რეგიონის ეთნოლოგიური ღირსშესანიშნაობის თემაზე, გამარჯვებულებს კი პრიზები გადაეცათ. ფესტივალმა უმასპინძლა ფართო საზოგადოებას. სტუმრებს შორის იყვნენ ადგილობრივები, ადგილობრივი და უცხოელი ტურისტები, საქართველოს სამთავრობო და არასამთავრობო სექტორების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სამეცნიერო ინსტიტუტების, მედიის წარმომადგენლები, ტუროპერატორები და სხვ.. სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის მონაცემებით, ღონისძიებას 4,000-

5,000 პირი დაესწრო.

სად
სამცხე-ჯავახეთი, ქ. ახალციხე, ახალციხის ციხის ტერიტორია

როდის
22 ოქტომბერი

➢ „ელკანას“ წევრი ფერმერების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა გუდვილში

.

რა

"ელკანამ“ „გუდვილთან“ ერთად და „საერთაშორისო კულტურის სივრცის“ მხარდაჭერით ჩაატარა ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების 13 ორდღიანი გამოფენა-გაყიდვა, სადაც „ელკანას“ წევრი ფერმერების მიერ ორგანული და აგროეკოლოგიური მეთოდებით წარმოებული პროდუქცია იყო წარმოდგენილი.

სად

თბილისი, გუდვილის მიმდებარე ტერიტორია

როდის

მთელი წლის განმავლობაში, თვეში 2-ჯერ

➢ სვანური ყველის - ნარჩვის პოპულარიზაცია

რა

„ელკანა“ მონაწილეობდა პროექტში, რომელიც სვანური ტრადიციული ყველის ნარჩვის, აღდგენა-პოპულარიზაციას ისახავდა მიზნად. „ელკანას“ ექსპერტების დახმარებით შეიქმნა ნარჩვის მწარმოებელთა ასოციაცია „სვანური ნარჩვი“ და მომზადაა ნარჩვის წარმოების სპეციფიკაციის დოკუმენტი.

სად

ზემო სვანეთი

როდის

ივნისი-ნოემბერი

➢ პურის ფესტივალი ბოტანიკურ ბაღში

8-9 ოქტომბერს თბილისში, საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში გაიმართა პურის ფესტივალი, რომელზეც „ელკანამ“ ფესტივალის სტუმრებს ხორბლის ქართული ჯიშების შესახებ ინფორმაცია წარუდგინა და დააგემოვნებინა ასოციაციის წევრი ფერმერების მიერ მოყვანილი ქართული ხორბლების - ახალციხური წითელი დოლისა და დიკის ფქვილისაგან ტრადიციული წესით, თონეში გამომცხვარი პური. ფესტივალის მონაწილეებმა ქართული ხორბლების ღირსებებისა და მისგან გამომცხვარი პურის სასარგებლო თვისებების შესახებ მიიღეს ინფორმაცია. სურნელოვანმა და გემრიელმა პურმა ფესტივალის სტუმრების განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა.

„ელკანას“ წევრების წარმატება

➢ „ელკანას“ წევრების წარმატება ცქრიალა ღვინის ფესტივალზე

24 დეკემბერს, მთაწმინდაზე, კლუბ „ანდერვილში“ პირველად საქართველოში ცქრიალა ღვინის ფესტივალი გაიმართა. ღონისძიების ორგანიზატორი იყოს „ღვინის კლუბი“, ხოლო ამგვარი ფესტივალის ჩატარების იდეა ეკუთვნის „ელკანას“ მევენახეობა-მეღვინეობის კონსულტანტს, გიორგი ბარისაშვილს. ფესტივალზე ღვინის მწარმოებლებმა წარმოადგინეს ყველა სტილის ცქრიალა ღვინო - შამპანური მეთოდი, პეტნატი (ნატურალური ცქრიალა), შარმას მეთოდი, შუშხუნა ღვინო. ფესტივალში „ელკანას“ წევრების ღვინოებიც მონაწილეობდნენ და მარანი „იორას" ქისისა და ბუერასგან დამზადებულმა ცქრიალა ღვინოებმა დიდი მოწონება დაიმსახურეს.

საზოგადოებასთან ურთიერთობა

➢ „ელკანა“ საერთაშორისო ღონისძიებებზე

სემინარი აგროეკოლოგიის ქსელის ორგანიზაციებისათვის - ციფრული ინსტრუმენტების განვითარება

მიმდინარე წლის 25-26 მარტს იტალიის რესპუბლიკის ქალაქ ორტეში აგროეკოლოგიის ციფრული ინსტრუმენტების განვითარებაზე აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ორგანიზაციებისა და ქსელებისათვის სემინარი ჩატარდა. ღონისძიება მოეწყო „ელკანასა“ და „სკოლა კამპესინა APS“-ს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების „აგროეკოლოგიის შესრულების შეფასების ინსტრუმენტის გამოცდა ევროპასა და ცენტრალურ აზიაში“ შესაბამისი პროექტის ფარგლებში. ღონისძიება გაიმართა აგროტურისტულ ცენტრში Biobagnolese - ვიტალის ოჯახის მეცხოველეობის დივერსიფიცირებულ ფერმაში და მას ესწრებოდნენ: ორგანიზაცია „სკოლა კამპესინას“, „ჯენგალაბის“, ასოციაცია „ელკანას“, ZZ Eko-Iliden-ს, ADI-ს, Mohira Bonu-ს, Zher Ana-Astana-სა და Tomiris-ს წარმომადგენლები.

სისტემის შექმნის მთავარი მიზანია აგროეკოლოგიის სკოლებისთვის ციფრული პლატფორმის შექმნა და საკითხის წინ წამოწევა და პოპულარიზაცია. ორდღიანი შეხვედრის ფარლებში ორგანიზაცია „ჯენგალაბმა“ წარმოადგინა ციფრული პლატფორმის პროტოტიპი და მისი ძირითადი ნაწილები/კომპონენტები. მონაწილეებმა სისტემის გამართული მუშაობისთვის კონკრეტული საკითხები განიხილეს და შეთანხმდნენ. შეხვედრის მონაწილეებმა მოილაპარაკეს, რომ სისტემაში არსებული თემები ინგლისურ ენაზე შეიქმნებოდა და ის 10 ენაზე ითარგმნებოდა, რათა საჭირო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა გაეზარდათ. აღსანიშნავია ისიც, რომ სისტემა აგროეკოლოგიის 11 პრინციპს (ნიელენის დეკლარაცია) დაეფუძნა და მომხმარებელს ინფორმაცია დაგეგმილი და განვლილი აქტივობების თაობაზე კალენდრის მეშვეობით მიეწოდება.

აგროეკოლოგიის პლატფორმის სიცოცხლისუნარიანობისა და მდგრადობისათვის აუცილებელია სისტემაში ჩართული ორგანიზაციების მიერ აქტიური მოდერაცია და აგროეკოლოგიის საკითხის პოპულარიზაცია წევრ ფერმერთა შორის.

საერთაშორისო სასწავლო ტური და კონფერენცია გეოგრაფიული აღნიშვნების საკითხებზე

30 ივნისიდან 8 ივლისის ჩათვლით, „ელკანას“ ორმა თანამშრომელმა და წევრმა ფერმერებმა, საქპატენტის და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის წარმომადგენლებთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს შვეიცარიასა (ბერნი) და საფრანგეთში (მონპელიე) გამართულ საერთაშორისო ღონისძიებებში, რომლებიც გეოგრაფიული აღნიშვნების საკითხებს ეძღვნებოდა.

შვეიცარიაში მონაწილეები დაესწრენ სასწავლო ტურს - „გეოგრაფიული აღნიშვნები შვეიცარიაში“. რომელიც შვეიცარიის ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ფედერალურმა ინსტიტუტმა (IPI) მოაწყო და რომელიც სექტორში ჩართულ მხარეებს შორის, გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარებას ისახავდა მიზანად.

საფრანგეთში FAO-სა და სოფლის მეურნეობის კვლევის განვითარების საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრის (CIRAD) მიერ გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე - „გეოგრაფიული აღნიშვნების მსოფლიო პერსპექტივა“, რომლის მიზანი იყო მსოფლიოში გეოგრაფიული აღნიშვნების (GIs) უახლესი კვლევების გაცნობა და აღნიშნული სისტემის დანერგვისა და განვითარების პერსპექტივების განხილვა, „ელკანას“ თანამშრომელმა, ია ებრალიძემ გამართა პრეზენტაცია და დამსწრეებს „ელკანას“ გამოცდილება გაუზიარა საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნების განვითარების კუთხით..

საერთაშორისო ცოდნის გაზიარება

20-21 სექტემბერს საფრანგეთში, პარიზში გაიმართა საერთაშორისო ცოდნის გაზიარების ორდღიანი შეხვედრა, რომლის მიზანი იყო პროექტში - „თანამშრომლობა აგროსასურსათო ჯაჭვებში“ (COACH), რომელიც ხორციელდება ევროკავშირის მხარდაჭერით, ჩართული მხარეებისათვის გაცნობის სივრცის შექმნა, ცოდნისა და გამოცდილების ერთმანეთისთვის გაზიარება და პროექტის შემდგომი საქმიანობების დაგეგმვა. ღონისძიებაში „ელკანას“ ორი წარმომადგენელი მონაწილეობდა. მათ შეხვედრის მონაწილეებს გაუზიარეს გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი ხორბლის ენდემური სახეობებისა და ადგილობრივი ჯიშების აღდგენის, გამრავლების, სელექციის, პოპულარიზაციისა და ადგილობრივი მეურნეების მონაწილეობით გავრცელების პროგრამის განხორციელების გამოცდილება.

„ელკანა“ გასტრონომიის საერთაშორისო გამოფენაზე

2022 წლის 22-26 სექტემბერს „ელკანა“ მონაწილეობდა გასტრონომიის საერთაშორისო გამოფენაში - Terra Madre Salone del Gusto, რომელიც ყოველ ორ წელიწადში ერთხელ Slow Food-ის ორგანიზებით, ტურინში ტარდება და სურსათის და არტიზანული/ტრადიციული პროდუქტის მწარმოებლებს მთელი მსოფლიოდან აერთიანებს. Terra Madre 2022-ის მიზანია გლობალური დიალოგის ფორმატში დღეს არსებული სასურსათო სისტემის გაუმჯობესების გზების დასახვა.
წელს Slow Food-ზე, სხვა საკითხებთან ერთად, ყურადღება გამახვილდა ეკოსისტემებში მიმდინარე ცვლილებებზე, ბიომრავალფეროვნების დაცვაზე, ბუნებრივი რესურსების დეგრადაციის შედეგად გამოწვეულ მიგრაციებზე, ასევე თანასწორობის და თანამონაწილეობის საკითხებზე.

ბიომრავალფეროვნების დარბაზში „ელკანამ“ წარმოადგინა ხორბლის ენდემური სახეობები - დიკა, მახა, ჩელტა ზანდური, კოლხური ასლი და ჰექსაპლოიდური ზანდური, ხორბლის ადგილობრივი ჯიში - ახალციხის (მესხური) წითელი დოლის პური; ასევე სხვადასხვა სახეობის პარკოსნები, მშრალი ხილი და ბიოთხილი საქართველოდან. ორგანიზაციის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ სხვადასხვა შეხვედრაში, სადაც განიხილებოდა ორგანული სოფლის მეურნეობისა და სამრჩევლო მომსახურების საჭიროებები, სათემო ტურიზმი, როგორც მთის სოფლების აღორძინების ინსტრუმენტი.

„ელკანა“ ECVC-ის წევრთა გენერალურ ანსამბლეაზე

4-7 ნოემბერს, „ელკანას“ ორმა თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო პორტუგალიაში, ქალაქ ვიზეუში გამართულ ECVC-ის წევრთა გენერალური ანსამბლეის მუშაობაში. ასამბლეის მონაწილეებმა განიხილეს გლობალური კრიზისების (ომი უკრაინაში, კორონავირუსის პანდემია და სხვ.) ფონზე გლეხური საქმიანობების როლი და ძირითადი გამოწვევები, მცირე ფერმერული მეურნეობებისა და სწორი სასოფლო-სამეურნეო მიდგომების მნიშვნელობა გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის შესამცირებლად და სხვ.. გარდა ამისა, შეხვედრაზე ახალი გამგეობა აირჩიეს და ECVC-ის 2023-27 სამოქმედო სტრატეგიული დოკუმენტი დაამტკიცეს.

სასწავლო ვიზიტი იტალიაში

11-16 ნოემბერს იტალიაში (ტოსკანა და კამპანია) საერთაშორისო სასწავლო ტური ჩატარდა, რომელშიც საქართველოს დელეგაცია მონაწილეობდა. მის შემადგენლობაში იყვნენ: პარლამენტის აგრარული კომიტეტის, სურსათისა და სოფლის განვითარების დეპარტამენტის, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, „ელკანას“, სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის, ფერმერთა ასოციაციის წარმომადგენლები და აგროტურიზმში ჩართული ფერმერები. ტურის მიზანი იყო იტალიის მაგალითზე აგროტურისტული მეურნეობების მუშაობისა და განვითარების პერსპექტივის გაცნობა. საქართველოს დელეგაციამა შემსყიდველებისთვის გამართულ საღამოზე გამართა პრეზენტაცია საქართველოს შესახებ. ასევე მონაწილეობა მიიღო ქალაქ არეცოში გამართულ აგროტურისტულ გამოფენაში და ვიზიტორებს შესთავაზა ქართული ღვინო, ჩაი, ყველი და ტრადიციული ქართული ტკბილეული.

ტურის მეორე ნაწილი იტალიური აგროტურისტული ობიექტების პრაქტიკული გამოცდილების გაცნობას დაეთმო. დელეგატებმა დაათვალიერეს ლიმონის, ღვინის, ხორცისა და სხვა ასოციაციები და აგროტურისტული მეურნეობები. ვიზიტის ფარგლებში შედგა ადგილობრივ სამთავრობო სტრუქტურებთან შეხვედრა და მათი გამოცდილების გაზიარება.

საერთაშორისო ტრენინგი - მეწარმეობა კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობისთვის შავი ზღვის აუზში

22-25 ნოემბერს ბულგარეთში, ქალაქ დობრიჩში გაიმართა საერთაშორისო ტრენინგი - „მეწარმეობა კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობისთვის (CSA) შავი ზღვის აუზში (BSB)“. მასში მონაწილეობდნენ 6 ქვეყნის - ბულგარეთის, რუმინეთის, თურქეთის, საქართველოსა და საბერძნეთის - სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, ახალგაზრდა ფერმერები, სოფლის მეურნეობის პრაქტიკოსები, სასოფლო-სამეურნეო პრობლემატიკით დაინტერესებული დამამთავრებელი კურსის სტუდენტები, აგრარულ სფეროში მომუშავე ორგანიზაციები და ბიზნესმენები. თითოული ქვეყნის წარმომადგენელმა სხვადასხვა თემაზე წარადგინა პრეზენტაცია. საქართველოდან შეხვედრას ესწრებოდა „ელკანას“ ორი თანამშრომელი და სამი წევრი ფერმერი და მათი საპრეზენტაციო თემა იყო: „კლიმატისადმი მდგრადი აგროსასურსათო ღირებულების ჯაჭვები“.

➢ „ელკანა“ სამოქალაქო ფორუმისა და ეროვნული პლატფორმის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში

ევროკავშირ-საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის მე-9 შეხვედრა

ასოციაცია „ელკანამ“ მონაწილეობა მიიღო ევროკავშირ-საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის (CSP) მე-9 შეხვედრაში, რომელიც 28 ივნისს „რონდელის ფონდში“ გაიმართა. შეხვედრის მონაწილეებმა ისაუბრეს ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების შეთანხმების იმპლემენტაციისა და ასევე საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის შესახებ.
(https://www.eesc.europa.eu/en/agenda/our-events/events/9th-meeting-eu-georgia-civil-society-platform).

შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტთან

26 ივლისს „ელკანა“ მონაწილეობდა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრების შეხვედრაში საქართველოს პრეზიდენტთან. შეხვედრის მიზანი იყო ევროკომისიის 12 პრიორიტეტის შესრულებისა და ამ პროცესებში კოალიციის ჩართულობის განხილვა. (https://eap-csf.ge/index.php/2022/07/26/meeting-with-the-president/)

ევროპისა და საქართველოს შიგა საკონსულტაციო ჯგუფების მე-7 ერთობლივი შეხვედრა

29 ნოემბერს ასოციაცია „ელკანამ“ მონაწილეობა მიიღო ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულების თავი 13-ის: ვაჭრობა და მდგრადი განვითარება ფარგლებში შექმნილი ევროპისა და საქართველოს შიგა საკონსულტაციო ჯგუფების (DAGs) მე-7 ერთობლივ შეხვედრაში, რომლის მიზანი იყო ევროკავშირ-საქართველოს ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების ქვეკომიტეტისა და სამოქალაქო საზოგადოების ფორუმისთვის რეკომენდაციების მომზადება *7th joint meeting of the EU-Georgia Domestic Advisory Groups | European Economic and Social Committee (europa.eu)*

5 დეკემბერს ევროპისა და საქართველოს შიგა საკონსულტაციო ჯგუფების წევრებს საშუალება ჰქონდათ DCFTA-ს მე-13 თავის განხორციელების შესახებ ერთობლივი დასკვნები წარედგინათ და ევროკომისიისა და საქართველოს მთავრობის ოფიციალურ პირებთან მოსაზრებები გაეცვალათ. (

- **„ელკანას“ ახალციხის ოფისის მონაწილეობა ადგილობრივ საახალწლო ღონისძიებაში**

რა

„ელკანას“ ახალციხის ოფისი ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ქ.ახალციხეში ორგანიზებულ საახალწლო ღონისძიებაში მონაწილეობდა. ღონისძიების ფარგლებში „ელკანამ“ ადგილობრივი პროდუქტების საგამოფენო სივრცეში წარმოადგინა ხორბლის ენდემური სახეობებისა და აბორიგენული ჯიშების, მათ შორის: ახალციხის წითელი დოლის, ჯავახეთისა და ქართლის დიკას, ჩელტა და გვაწა ზანდურის, მახას რამდენიმე სახესხვაობის, კოლხური ასლის თავთავები; სელისა და პარკოსანი კულტურების: ცულისპირას, მუხუდოს, ცერცვის, ძაძას მარცვლეულის ნიმუშები, ასევე - ორგანიზაციის პუბლიკაციები.

„ელკანას“ საგამოფენო სივრცეში „ელკანას“ წევრებმა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში გალინა ინასარიძემ და ზაზა ივანიძემ საკუთარ მეურნეობაში წარმოებული ტრადიციული პროდუქტები: ტენილი ყველი, ერბო, მესხურ ფურნეში გამომცხვარი პური, ქადა, ქადა-ხაჭაპური და ერიშტა წარმოადგინეს. ადგილზე გამოცხვა ასევე ტრადიციული

მესხური ლუხუმი, რომელიც ღონისძიების სტუმრებმა სიამოვნებით დააგემოვნეს.

სად
სამცხე-ჯავახეთი, ქალაქი ახალციხე

როდის
7 იანვარი

➢ მსოფლიო სურსათის დღე და სოფლად მცხოვრები ქალების საერთაშორისო დღე

16-17 ოქტომბერს, ასოციაცია „ელკანამ“ მონაწილეობა მიიღო ზემო სვანეთში, მესტიაში გამართულ მსოფლიო სურსათის დღისა და სოფლად მცხოვრები ქალების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ 2-დღიან ღონისძიებაში. პირველ დღეს გაიმართა აგრობაზარი, სადაც ფერმერებმა წარმოადგინეს ადგილობრივი ნაწარმი: რძის პროდუქტები, თაფლი, ღვინო, ჩურჩხელა, ჩირი, ქართული ხორბლის უძველესი ჯიშები, პარკოსნებისგან დამზადებული ტრადიციული კერძები და სხვ.. ასოციაცია „ელკანა“ ამ ღონისძიების პარტნიორი იყო და მისი ორგანიზებით მოეწყო პურისა და ხორბლის გამოფენა და კერძების დეგუსტაცია.

➢ სოფლად მცხოვრები ქალების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი შეხვედრა ახალციხეში

რა

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ ახალციხის ოფისი მონაწილეობდა სოფლად მცხოვრები ქალების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ შეხვედრაში, რომელიც ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და გენდერული თანასწორობის განყოფილების და ქალთა ორგანიზაციის ერთობლივი ძალისხმევით ჩატარდა. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს: ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრებმა მეწარმე და ფერმერული მეურნეობების მქონე ქალებმა, საქართველოს პარლამენტის დეპუტატებმა, სამხარეო და ადგილობრივი ხელისუფლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. შეხვედრის მონაწილეებმა სოფლად მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მნიშვნელობასა და ხელშეწყობის შესაძლებლობებზე იმსჯელეს, გაეცნენ წარმატებულ ფერმერ ქალთა ისტორიებს. აღინიშნა, რომ სოფლად მცხოვრები მეწარმე ქალები თავიანთი საქმიანობით ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და გაძლიერებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებენ. არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობების წარდგენისთვის განსაზღვრულ სივრცეში, ასოციაცია „ელკანას“ წარმომადგენელმა ორგანიზაციის შესახებ პრეზენტაცია გამართა. პრეზენტაცია მოიცავდა ინფორმაციას „ელკანას“ ახალციხის ოფისის შესახებ და ორგანიზაციის საქმიანობები მიმოხილვას, რომლებშიც სოფლად მცხოვრებ ქალებს შეუძლიათ ჩართვა. აღინიშნა, რომ ასოციაცია „ელკანა“ ხელს უწყობს, ახალისებს და მიესალმება ორგანიზაციის საქმიანობებში სოფლად მცხოვრები ქალების მონაწილეობას.

სად

სამცხე-ჯავახეთში, ქ. ახალციხეში

როდის

4 ნოემბერს

➢ ვებინარი - აგროეკოლოგია ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისა და მათი დამოუკიდებლობისათვის

3 ნოემბერს „ელკანამ“, Schola Campesina-სთან და FAO-ს ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონულ ოფისთან თანამშრომლობით, გამართა ვებინარი თემაზე „აგროეკოლოგია ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისა და მათი დამოუკიდებლობისათვის - სომხეთის, აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის გამოცდილების საფუძველზე“. ვებინარზე რეგიონის ქვეყნების ფერმერული ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ისაუბრეს აგროეკოლოგიური მიდგომების უპირატესობაზე და ერთმანეთს აგროეკოლოგიური პროდუქციის წარმოებაში და ბაზარზე ხელმისაწვდომობის ინოვაციური არხების მოძიებაში ქალთა ჩართულობის მაგალითები გაუზიარეს. ასევე განიხილეს ქალთა ინიციატივებისათვის პოლიტიკური მხარდაჭერის საჭიროება და სხვ.. ვებინარს დაესწრო 81 პირი არა მხოლოდ რეგიონიდან, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან.

➢ მთის საერთაშორისო დღე

12 დეკემბერს, მთის რეგიონების მდგრადი განვითარების კავკასიის ქსელის ორგანიზებით თბილისში, მემკვიდრეობის რესურსების ცენტრში, ჩატარდა მთის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. „ელკანა“ ამ ღონისძიებაში მონაწილეობდა და დამსწრეებს გეოგრაფიულ აღნიშვნებთან დაკავშირებით ჩვენი ორგანიზაციის გამოცდილება გააცნო. მან მონაწილეებს მთის პროდუქტების გამოფენა-დეგუსტაციაც შესთავაზა და თუშური გუდის დამზადების „ფოტოისტორია“ წარმოადგინა.

სოფლის ტურიზმი

➢ ტრენინგების კურსი თიანეთში

რა

„ელკანას“ ექსპერტებმა თიანეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ტურიზმის ბიზნესში ჩართული პირებისათვის ჩაატარეს 14-დღიანი ტრენინგკურსი თემაზე „სოფლის ტურიზმი“. ტრენინგს 158 პირი დაესწრო (მათგან 98 - ქალი). ტრენინგი თეორიულ პრეზენტაციებსა და პრაქტიკულ სამუშაოებს აერთიანებდა. დამსწრეებს საშუალება მიეცათ, პრაქტიკული რჩევები ადგილზე მიეღოთ და ერთმანეთისთვის გამოცდილება გაეზიარებინათ.
ტრენინგკურსის დასრულების შემდეგ 17 პირმა საგრანტო კონკურსში მიიღო მონაწილეობა და 9-მ (მათგან 3 - ქალი) დაფინანსება მოიპოვა.

სად

თიანეთის მუნიციპალიტეტი, დაბა თიანეთი

როდის

გაზაფხულიდან შემოდგომის ბოლომდე

➢ გაცნობითი ტური სამცხე-ჯავახეთსა და თუშეთში

23-28 ივნისს ასოციაცია „ელკანამ“ ტუროპერატორებისა და ჟურნალისტებისათვის, სამცხე-ჯავახეთსა და თუშეთში 6-დღიანი გაცნობითი ტური მოაწყო. „ელკანას“ მიერ დაგეგმილი ტურის მიზანი ამ რეგიონების აგროტურისტული პოტენციალის გაცნობა, პოპულარიზაცია და წახალისება იყო. მონაწილეებმა ადგილობრივი ბუნებრივი და კულტურული ძეგლები მოინახულეს, ადგილობრივ ტრადიციებს გაეცნენ, ტრადიციული სურსათის მომზადებასა და დეგუსტაციაში მიიღეს მონაწილეობა. ტურში სულ 12 პირი მონაწილეობდა. ტურში მონაწილე ჟურნალისტებმა დაწერეს რამდენიმე სტატია და ბლოგი თავიანთი გამოცდილების შესახებ.

➢ გაცნობითი ტური კახეთში

28 ივნისს ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანამ“ტუროპერატორებისათვის კახეთში ინფოტური მოაწყო. ინფოტურის მონაწილეები ახლადგახსნილ „შუამთის ტურისტულ კარიბჭეს“ ეწვივნენ, რომელიც „ბადაგონის“, ალავერდის ეპარქიისა და USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის ერთობლივი პროექტია და მისი მიზანია ვიზიტორთათვის ისტორიული ადგილებისა და კულტურული მემკვიდრეობის გაცნობა-პოპულარიზაცია.

ტუროპერატორებმა ასევე მოინახულეს სოფელ ზემო ხოდაშენში შექმნილი ასოციაცია „ელკანას“ შინაურ ცხოველთა საკონსერვაციო მეურნეობა, სადაც მოშენებული და დაცულია კახური ღორი, ქართული მთის ძროხა, ჯავახური ბატი და ქათმის ადგილობრივი პოპულაციები. ინფოტურის მონაწილეებმა დაათვალიერეს მეურნეობის ტერიტორიაზე მოწყობილი პერმაკულტურის დიზაინი, სადაც ხილისა და ვაზის ადგილობრივი ჯიშებია გაშენებული, მოინახულეს ტრენინგსივრცე, სადაც ღვინის ტურიზმის საკითხებზე ტრენინგი მიმდინარეობდა. სტუმრებმა ტრადიციული კერძები და ღვინო გასინჯეს.

ინფოტურის მონაწილეები ქ. ახმეტაში გაემგზავრნენ და საოჯახო ღვინის მარანს „ლაგვანს“ ეწვივნენ. მარნის მეპატრონეა მეღვინე ქალი - სანათა, რომელიც ბიოღვინოებს აყენებს: რქაწითელს, მწვანეს და ქისს; ასევე ხდის 7 სახეობის არაყს. ღვინის მარანში სადეგუსტაციო სივრცეც არის გამოყოფილია, სადაც, ღვინის დაგემოვნების გარდა, სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები იმართება და გასტრონომიული მასტერკლასები ტარდება.

პუბლიკაციები

- კალენდარი 2023

- ბოსტნეულის წარმოება



- მეფუტკრეობის ძირითადი საფუძვლები



- ხეხილის ბაღის გაშენება და მოვლა



- ტყის არამერქნული პროდუქტების მდგრადი გამოყენება

- სურსათის უვნებლობა მემცენარეობასა და მეფუტკრეობაში



- ნიადაგის ნაყოფიერების მართვის სისტემა



- გზამკვლევი აგროტურიზმის მოყვარულთათვის სამცხე-ჯავახეთში



- სტუმრად სამცხე-ჯავახეთში



- სტუმრად თუშეთში



- ღვინის დაყენება ქვევრში (იტალიურ ენაზე, PDF

- მნიშვნელოვანი მოვლენები/სიახლეები - 2021 (PDF)



- ნარჩვი - ხეში დავარგებული სვანური ყველი

წლიური შემოსავალი და ხარჯები

ვალუტა: ევრო

	2022 წელი
საწყისი ნაშთი	268,194
შემოსავალი	
Brot fur die welt	454,700
HEKS EPER	277,354
ADA	342,197
FAO	32,818
BP	53,536
AGREEN	46,615
ECVC	10,370
GRETA	7,876
Naturland	5,527
Schola campesina	15,667
Rustavi information HUB	31,913
საწევრო შენატანები	1,918
შემოწირულობა	6,340
სხვა შემოსავალი	60,463
მთლიანი შემოსავალი	**1,347,293**
ხარჯები	
პროექტის აქტივობები (ტრენინგები, სემინარები და ა.შ.)	845,619
ინვესტიციები, თანადაფინანსება	151,920
ადმინისტრაციული ხარჯები	112,680
სხვა ხარჯები	7,631
მთლიანი ხარჯი	**1,117,850**
საბოლოო ნაშთი	497,637

მარიამ ჯორჯაძე
დირექტორი